

14 მაისი 2008 წელი

(1) საქართველოს მთავრობა

(2) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

(3) ქ. თბილისის მთავრობა

და

(4) „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"

წილის ნასყიდობის ხელშეკრულება

შპს "რუსთავწყალკანალის" 100% წილის,
შპს "მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს "საქწყალკანალის"
100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის
ნასყიდობის შესახებ

367

მხარეები:

(1) საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ეკატერინე შარაშიძის სახით (შემდგომში მთავრობა).

(2) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო წარმოდგენილი მინისტრის ეკატერინე შარაშიძის სახით (შემდგომში - "გამყიდველი 1")

(3) თბილისის მთავრობა, წარმოდგენილი თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი)- ადმინისტრაციის უფროსის მამუკა ახვლედიანის სახით (შემდგომში „გამყიდველი 2"),

("გამყიდველი 1" და "გამყიდველი 2", შემდგომში ერთად „გამყიდველები") და

(4) „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი" წარმოდგენილი დირექტორის გერმანს სიტრონსის სახით (შემდგომში "მყიდველი").

შესავალი

(ა) "გამყიდველი 1" არის შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის" და შპს "საქწყალკანალის" (შემდგომში "საწარმოები") 100 % წილების მესაკუთრე;

(ბ) "გამყდიველი 2" არის შპს „თბილისის წყალის" (შემდგომში "კომპანია") 100% წილის მესაკუთრე;

(გ) "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2008 წლის 10 აპრილს და 2008 წლის 14 მაისს გამოცემულ იქნა № 245 და №323 განკარგულებები, რომლებითაც „საწარმოებსა" და "კომპანიაში" 100%-იანი წილი "მყიდველს" გადაეცა პირდაპირი მიყიდვის ფორმით განკარგულების პირობების შესაბამისად;

(დ) შესაბამისად, "გამყიდველ 1" სურს გაყიდოს "საწარმოების" წილების 100% ხოლო "გამყიდველ 2"-ს სურს გაყიდოს "კომპანიის" წილის 100%, ხოლო "მყიდველს" სურს შეიძინოს "საწარმოების" 100% წილები და "კომპანიის" 100% წილი.

წინამდებარე დოკუმენტით შეთანხმდა:

1. **განმარტებები და ინტერპრეტაცია**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში შემდეგ ტერმინებს, ექნებათ ქვემოთ მითითებული მნიშვნელობები:

„აქტივები"	"კომპანიის" და "საწარმოების" ის ფიზიკური აქტივები, რომლებიც მითითებულია მე-3 დანართში.
„სამუშაო დღე"	ნებისმიერი სამუშაო დღე საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით;

„ბიზნეს ინფორმაცია"	ყველა ინფორმაცია, ნოუ-ჰაუ და დოკუმენტაცია (მიუხედავად იმისა, ფიზიკური ფორმით იქნება წარმოდგენილი თუ არა), მათ შორის (და არა მხოლოდ) ყველა სახის მეთოდოლოგია, ალგორითმები, ფორმულები, პროექტები, სპეციფიკაციები, ნახაზები, კვლევა და განვითარება, მონაცემები (მათ შორის და არა მხოლოდ, ელექტრონული ფორმით არსებული და შენახული) სახელმძღვანელოები და ინსტრუქციები და ყველა მომხმარებლისა და მომწოდებლის სიები, ინფორმაციები გაყიდვების შესახებ, ბიზნეს გეგმები და პროგნოზები, და ყველა ტექნიკური და სხვა ექსპერტის შეფასებები, ყველა საბუღალტრო და საგადასახადო დოკუმენტაცია, კორესპონდენცია, სერტიფიკატები, ორდერები და კითხვარები და სხვა დოკუმენტაცია და ყველა კომპიუტერული დისკი ან აუდიო კასეტა ან სხვა ელექტრონულად შენახული ინფორმაცია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია "კომპანიასთან";
„კაპიტალური სუბსიდიები"	ჯეგირის გამყვანი გვირაბის მნიშვნელოვან ტექმომსახურებასთან დაკავშირებით 2006 წლის აგვისტოდან ოქტომბრამდე, ენერგეტიკის სამინისტროს მიერ განხორციელებული ფულადი შენატანი 3.5 მლნ. ლარის ოდენობით; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ძირითადი შენატანები (ფულადი სახსრები და აქტივები, რომელთა ჯამი შეადგენს 51.6 მლნ. ლარს), რომლებიც დაკავშირებულია წყლისა და ნარჩენების საერთო ქსელის რეაბილიტაციასთან; მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი გრანტი, რომელიც დაკავშირებულია 2006 წელს არაგვის ხეობის ტერიტორიაზე ზედა წყალსაშვებზე, ინფილტრაციის წყალსაცავზე და სხვა აქტივებზე ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებთან, 2005 წლის ძლიერი წყალდიდობის შემდეგ. ამგვარი სარემონტო სამუშაოების ღირებულება იყო 13.1 მლნ. ლარი, რომლიდანაც ქალაქმა გადაიხადა 10.3 მლნ. ლარი;
„საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდები"	შესაბამისი საუკეთესო სტანდარტი, მეთოდები, პრაქტიკა და პროცედურები და კვალიფიციურობის, მცდელობის, კეთილგონიერების და წინდახედულობის ხარისხი, რომელიც მოსალოდნელია კვალიფიციური და გამოცდილი კონტრაქტორისგან, ინჟინრისგან ან ოპერატორისგან, რომელიც მონაწილეობს იგივე ტიპის საქმიანობაში იგივე ან მსგავს გარემოებებში;
„მარეგულირებელი ორგანო"	ნიშნავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (ან სამართალმემკვიდრე ორგანოს);
„მომსახურება"	ნიშნავს წყალმომარაგების მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

„წილი" ან „წილები"	ნიშნავს კონტექსტის მიხედვით შპს "რუსთავწყალკანალის" 100% წილს, შპს "მცხეთაწყალკანალის" 100% წილს, შპს "საქწყალკანალის" 100% წილს და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის;
"კორპუსი"	სამ სართულზე მაღალი შენობა, რომელშიც გაერთიანებულია ორი ან ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგანი (ბინა)
"მრავალბინიანი სახლი"	შენობა ერთიდან სამი სართულის ჩათვლით რომელშიც გაერთიანებულია ორი ან ორზე მეტი ინდივიდუალური საკუთრების საგანი (ბინა)
"კოლექტიური მრიცხველი"	კორპუსში ან მრავალბინიან სახლში დამონტაჟებული მრიცხველი
"ანაზღაურება"	მე-4 მუხლით გათვალისწინებული "საწარმოების" "წილების" და "კომპანიის" "წილის" ნასყიდობის ფასი

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში, თუ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული:

1.2.1 მუხლის, პუნქტის ან დანართის სათაურები მოცემულია მხოლოდ მითითების გაიოლებისათვის და ზემოქმედებას არ ახდენს მათ ინტერპრეტაციაზე;

1.2.2 დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და აქვს ისეთი იურიდიული ძალა, როგორც წინამდებარე ხელშეკრულება და ნებისმიერი მითითება წინამდებარე ხელშეკრულებაზე მოიცავს მის დანართებსაც;

2. "კომპანიის" "წილის" ნასყიდობა და "კომპანიის" მართვის პასუხისმგებლობის აღება.

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, "გამყიდველი 2" ყიდის და "მყიდველი" ყიდულობს "კომპანიის" "წილს" ყველა მასთან დაკავშირებული უფლებებით და პრივილეგიებით, ყოველგვარი მოთხოვნის, გირავნობის უფლებების, ყადაღის და დატვირთვების გარეშე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულისა. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად "კომპანიის" "წილზე" საკუთრების უფლება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით "მყიდველზე" გადადის მის მიერ „ანაზღაურების" თანხის (პირველი და მეორე ტრანშის) სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, მიუხედავად "მყიდველის" მიერ ამ ხელშეკრულების შესაბამისად "წილზე" საკუთრების უფლების შეძენისა, მას ეს უფლება ექნება ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

2.2 "კომპანიის" "წილზე" საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა "მყიდველს" გადაეცემა „ანაზღაურების" სრულად გადახდის შესახებ "გამყიდველი 2-ის" მიერ დადასტურებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად "ანაზღაურების" "პირველი ტრანშის" გადახდის შემდეგ, "მყიდველს" უფლება აქვს "გამყიდველ 2-ს" მოთხოვოს, წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, "კომპანიის" მართვის "მყიდველისათვის" გადაცემა აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების გაგზავნით. "მყიდველისათვის" წინამდებარე მუხლის მიხედვით "კომპანიის" მართვის გადაცემის შემდეგ, "გამყიდველი 2" და მთავრობა დაეხმარებიან "მყიდველს" მათი კომეტენციის ფარგლებში, "კომპანიის" სახელზე საქართველოს საჯარო რეესტრში აქტივების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რაც განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი №3-ით.

2.3.1 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ "მყიდველის" მიერ ხელშეკრულების შესაბამისად სრულად იქნება გადახდილი "ანაზღაურება" და მიღებული იქნება "წილზე" საკუთრების უფლება, "მყიდველი" გახდება უფლებამოსილი „კომპანიის" შემოსავლებსა და ნებისმიერ სარგებელზე იმგვარად, როგორც ეს უფლებამოსილება მიეკუთვნებოდა "წილისა" და „კომპანიის" კანონიერი მესაკუთრეს. აღნიშნული უფლების განხორციელება მას შეეძლება მხოლოდ "ანაზღაურების" სრულად გადახდისა და "წილზე" საკუთრების უფლების მიღების შემდეგ.

2.4 წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტში განსაზღვრული შეტყობინების მიღებიდან, „გამყიდველმა 2"-მა უნდა ითანამშრომლოს "მყიდველთან", რათა უზრუნველყოს, რომ პარტნიორის კრება იქნას მოწვეული, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, რომელზეც:

2.4.1 გადაწყდება, რომ "კომპანიის" მართვა გადაეცემა "მყიდველს";

2.4.2 „მყიდ ველის" მოთხოვნის შესაბამისად „მყიდველის" მიერ დასახელებული თითოეული პირი უნდა დაინიშნოს დირექტორად და „გამყიდველი 2"-ის მიერ დანიშნული ხელმძღვანელი პირები გამოწვეულ უნდა იქნენ თავიანთი თანამდებობებიდან;

2.4.3 „მყიდველის" მოთხოვნის შემთხვევაში ყველა არსებული ინსტრუქცია ბანკებისადმი უნდა გაუქმდეს და ახალი ინსტრუქციები უნდა გაიცეს ამ ბანკებზე იმ ფორმით, როგორც ამას "მყიდველი" მოითხოვს;

2.4.4 ზემოაღნიშნული საკითხების შესაბამისად შექმნილი ნებისმიერი და ყველა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა გადადგომების გაფორმებისა და სისრულეში მოყვანისათვის და "კომპანიის" მართვის გადაცემისათვის უნდა დამოწმდეს საჭიროებისამებრ ნოტარიულად და წარდგენილ იქნეს შესაბამისი რეგისტრაციისათვის „გამყიდველი 2"-ის, „მყიდველის" ან „კომპანიის" მიერ.

2.5 ანაზღაურების მეორე ტრანშის გადახდის შემდეგ, "გამყიდველი 2" დაასრულებს "წილის" გაყიდვას, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით და უზრუნველყოფს "წილის" სრული საკუთრების უფლებამოსილებით გადაცემას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვებით. „მყიდველი" გარანტიებზე, განცხადებებზე დაყრდნობით მიიღებს "წილს" სრულ საკუთრებაში წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული „მყიდველის" ვალდებულებების შესრულების პირობით, ყოველგვარი სხვა მოთხოვნის, გირავნობის უფლების, ყადაღის და დატვირთვების გარეშე, გარდა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა.

3. "საწარმოების" (რუსთავი, მცხეთა გარდაბანი) "წილის" ნასყიდობა და "საწარმოების" მართვის პასუხისმგებლობის აღება

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, "გამყიდველი 1" ყიდის და "მყიდველი" ყიდულობს "საწარმოების" "წილს" ყველა მასთან დაკავშირებული უფლებებითა და პრივილეგიებით, ყოველგვარი მოთხოვნის, გირავნობის უფლებების, ყადაღის და დატვირთვების გარეშე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულისა. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად "საწარმოების" "წილზე" საკუთრების უფლება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით "მყიდველზე" გადადის მის მიერ „საწარმოების" "ანაზღაურების" თანხის (პირველი და მეორე ტრანშის) სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, მიუხედავად "მყიდველის" მიერ ამ ხელშეკრულების შესაბამისად "წილზე" საკუთრების უფლების შეძენისა, მას ეს უფლება ექნება ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

3.2 "საწარმოების" "წილზე" საკუთრების მოწმობა "მყიდველს" გადაეცემა „ანაზღაურების" სრულად გადახდის შესახებ "გამყიდველი 1-ის" მიერ დადასტურებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ანაზღაურების "პირველი ტრანშის" გადახდის შემდეგ, „მყიდველს" უფლება აქვს "გამყიდველ I-ს" მოთხოვოს, წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, „მყიდველისათვის" "საწარმოების" მართვის უფლებით გადაცემა აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების გაგზავნით. „მყიდველისათვის" წინამდებარე მუხლის მიხედვით "საწარმოების" მართვის უფლებით გადაცემის შემდეგ, "გამყიდველი I" და მთავრობა მათი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმარებიან „მყიდველს", „საწარმოების" სახელზე საქართველოს საჯარო რეესტრში აქტივების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რაც განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართი №3-ით.

3.3.1 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ „მყიდველის" მიერ ხელშეკრულების შესაბამისად სრულად გადახდილი იქნება "ანაზღაურება" და მიღებული იქნება "წილზე" საკუთრების უფლება, „მყიდველი" გახდება უფლებამოსილი "საწარმოების" შემოსავლებსა და ნებისმიერ სარგებელზე იმგვარად, როგორც ეს უფლებამოსილება მიეკუთვნებოდა "წილისა" და "საწარმოების" კანონიერ მესაკუთრეს. აღნიშნული უფლების განხორციელება მას შეეძლება მხოლოდ "ანაზღაურების" სრულად გადახდისა და "წილზე" საკუთრების უფლების მიღების შემდეგ.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების 3.3. პუნქტში მითითებული შეტყობინების მიღებიდან, "გამყიდველმა I-მა" უნდა ითანამშრომლოს "მყიდველთან", რათა უზრუნველყოს, რომ პარტნიორის მიერ მიღებული იქნას გადაწყვეტილება შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, რომელითაც:

3.4.1 გადაწყდება, რომ "საწარმოების" მართვა გადაეცემა "მყიდველს";

3.4.2 "მყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად "მყიდველის" მიერ დასახელებული თითოეული პირი უნდა დაინიშნოს დირექტორებად და "გამყიდველი I-ის" მიერ დირექტორთა საბჭოში დანიშნული პირები გამოწვეულ უნდა იქნენ თავიანთი თანამდებობებიდან;

3.4.3 "მყიდველის' მოთხოვნის შემთხვევაში ყველა არსებული ინსტრუქცია ბანკებისადმი უნდა გაუქმდეს და ახალი ინსტრუქციები უნდა გაიცეს ამგვარ ბანკებზე იმ ფორმით, როგორც ამას "მყიდველი" მოითხოვს; და

3.4.4 ზემოაღნიშნული საკითხების შესაბამისად შექმნილი ნებისმიერი და ყველა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა გადადგომების გაფორმებისა და სისრულეში მოყვანისათვის და საწარმოების მართვის გადაცემისათვის უნდა დამოწმდეს საჭიროებისამებრ ნოტარიულად და წარდგენილ იქნეს შესაბამისი რეგისტრაციისათვის "გამყიდველი I-ის" და/ან "მყიდველის" ან შესაბამისი "საწარმოების" მიერ.

3.5 "ანაზღაურების" მეორე ტრანშის გადახდის შემდეგ, "გამყიდველი I" დაასრულებს "წილის" გაყიდვას, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით და უზრუნველყოფს "წილის" სრული საკუთრების უფლებამოსილებით გადაცემას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვებით. „მყიდველი" გარანტიებზე, განცხადებებზე დაყრდნობით მიიღებს "წილს" სრულ საკუთრებაში წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული „მყიდველის" ვალდებულებების შესრულების პირობით, ყოველგვარი სხვა მოთხოვნის, გირავნობის უფლების, ყადაღის და დატვირთვების გარეშე გარდა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა.

4. ანაზღაურება და დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულება

4.1 "კომპანიის" წილის ნასყიდობის მთლიანი ღირებულება შეადგენს მყიდველის მიერ გამყიდველის მიმართ უნაღდო ანგარიშსწორებით 70428871 (სამოცდაათი მილიონ ოთხას ოცდარვაათას რვაას სამოცდა თერთმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც გადახდილი უნდა იქნას ორ ტრანშად:

372

საპრივატიზებო თანხიდან 28 326 223 (ოცდარვა მილიონ სამას ოცდაექვსი ათას ორას ოცდასამი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით (პირველი ტრანში), გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში, ხოლო დანარჩენი 42 102 648 (ორმოცდაორი მილიონ ასორი ათას ექვსას ორმოცდარვა) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (მეორე ტრანში), თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით - პირველი ტრანშის გადახდიდან 21 კალენდარულ დღეში.

4.2 შპს „რუსთავწყალკანალის" წილის ნასყიდობის მთლიანი ღირებულება შეადგენს უნაღდო ანგარიშსწორებით 8996857 (რვა მილიონ ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტი ათას რვაას ორმოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც გადახდილი უნდა იქნას ორ ტრანშად:

საპრივატიზებო თანხიდან 3 618 501 (სამი მილიონ ექვსას თვრამეტი ათას ხუთას ერთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით (პირველი ტრანში), გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში, ხოლო დანარჩენი 5 378 356 (ხუთი მილიონ სამას სამოცდათვრამეტი ათას სამას ორმოცდათექვსმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (მეორე ტრანში), თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით - პირველი ტრანშის გადახდიდან 21 კალენდარულ დღეში.

შპს „საქწყალკანალის" და შპს „მცხეთაწყალკანალის" წილების ნასყიდობის მთლიანი ღირებულება შეადგენს უნაღდო ანგარიშსწორებით 585 480 (ხუთას ოთხმოცდახუთი ათას ოთხასოთხმოცი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც გადახდილი უნდა იქნას ორ ტრანშად:

საპრივატიზებო თანხიდან 235 477 (ორას ოცდათხუთმეტი ათას ოთხას სამოცდაჩვიდმეტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით (პირველი ტრანში), გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარულ დღეში, ხოლო დანარჩენი 350 003 (სამას ორმოცდაათიათას სამი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში (მეორე ტრანში), თანხის გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით - პირველი ტრანშის გადახდიდან 21 კალენდარულ დღეში.

4.3 "მყიდველი" ვალდებულია:

ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღის ვადაში უზრუნველყოს განკარგულების გამოცემის დღისათვის შპს „თბილისის წყალზე" დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების გადახდა 21157281 (ოცდაერთიმილიონ ასორმოცდაჩვიდმეტი ათას ორასოთხმოცდაერთი) ლარი, გადახდის დღისათვის დარიცხული საურავებითურთ.

ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს პრეზიდენტისგანკარგულების გამოცემის დღისათვის შპს „რუსთავწყალკანალზე" დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების გადახდა 1456565 (მილიონ ოთხასორმოცდათექვსმეტი ათას ხუთას სამოცდახუთი) ლარი, გადახდის დღისათვის დარიცხული საურავებითურთ.

ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღის ვადაში უზრუნველყოს განკარგულების გამოცემის დღისათვის შპს „მცხეთაწყალკანალზე" დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების გადახდა 111119 (ასთერთმეტიათას ასცხრამეტი) ლარი, გადახდის დღისათვის დარიცხული საურავებითურთ.

4.4 იმ შემთხვევაში თუ მოხდება 4.3 პუნქტში გათვალისწინებული დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების შემცირება ან/და დაბრუნება "მყიდველი" ვალდებულია

აღნიშნული თანხა ერთ თვეში გადაუხადოს შესაბამისად "გამყიდველ 1"-ს ან "გამყიდველ 2"-ს.

4.5 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში "მყიდველს" უფლება არა აქვს "კომპანიას" ან "საწარმოებს" მოსთხოვოს 4.3 პუნქტში მითითებული დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების შესრულების მიზნით გადახდილი და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი თანხის ანაზღაურება.

5. საქმიანობის წარმოება "მყიდველის" მიერ "კომპანიის" და "საწარმოების" მართვის აღებამდე და მართვის აღების შემდეგ საკუთრების უფლების მიღებამდე

5.1. მთავრობამ და "გამყიდველებმა" მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ:

5.1.1 რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან იმ დრომდე, როდესაც "მყიდველი" მიიღებს "კომპანიის" და "საწარმოების" "წილებზე" საკუთრების უფლებას, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, "კომპანიამ" და "საწარმოებმა" განახორციელონ საქმიანობა ჩვეული მიმდინარეობით არსებული პრაქტიკის შესაბამისად და "მყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე, თავი შეიკავონ რაიმე ისეთი მოქმედებების განხორციელებისგან, რომელიც არ არის ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, კერძოდ, იმგვარი მოქმედებებისგან რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 დანართში

5.1.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან "მყიდველის" მიერ "კომპანიის" და "საწარმოების" მართვის უფლების აღებამდე, "მყიდველს" და ნებისმიერ მის მიერ უფლებამოსილ პირს, სათანადო შეტყობინების საფუძველზე და სამუშაო საათების განმავლობაში, უნდა ჰქონდეს სრული უფლება მიიღოს "კომპანიის" და "საწარმოების" ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

5.2 "მყიდველის" მიერ "კომპანიის" და "საწარმოების" მართვის პასუხისმგებლობის აღების შემდეგ, "მყიდველმა" უნდა უზრუნველყოს, რომ "კომპანიის" და "საწარმოების" საქმიანობა წარიმართოს მე-11 მუხლის დებულებების შესაბამისად.

5.3 "მყიდველი" კისრულებს ვალდებულებას "გამყოდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე, თავი შეიკავოს რაიმე ისეთი მოქმედებების განხორციელებისგან, რომელიც არ არის ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. კერძოდ, იმგვარი მოქმედებებისგან, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 დანართში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ნასყიდობის ფასის (შესაბამისად პირველი ან მეორე ტრანშის) ან დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების ან ხელშეკრულების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში "მყიდველს" შესაბამისად "გამყიდველი 1-ის" ან "გამყიდველი 2-ის" სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება ნასყიდობის მთლიანი ღირებულების შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე, მაგრამ არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა. ამ ვადის განმავლობაში ნასყიდობის ფასის ან დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების და პირგასამტეხლოს სრულად გადაუხდელობა წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველს, როგორც "კომპანიის" "წილის" ასევე "საწარმოების" "წილის" ნასყიდობის მიმართ. ასეთ შემთხვევაში "მყიდველის" მიერ გადახდილი თანხები "მყიდველს" არ დაუბრუნდება.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში "მყიდველი" იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება

დარღვევის გამოსწორების ვადა 6.3 პუნქტის შესაბამისად და ჯამური საინვესტიციო ვალდებულების (220 მილიონი აშშ დოლარის) შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. შესაბამისი გამყიდველის მიერ მითითებულ ვადაში, "მყიდველის" მიერ დარღვევის გამოუსწორებლობის და პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაბამის "გამყიდველს" ან "გამყიდველებს" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება. ამასთან ხელშეკრულება მოშლილად ითვლება, როგორც "კომპანიების" ისე "საწარმოების" წილის მიმართ.

6.3 სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის შესაბამისი გამყიდველი "მყიდველს" უგზავნის გაფრთხილების წერილს, რომელშიც მიუთითებს "მყიდველს" დარღვევის გამოსწორების მიზნით გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 6 (ექვსი) თვისა და დააკისრებს პირგასამტეხლოს 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, ვალდებულების შეუსრულებლობის ყოველ დღეზე, მის საბოლოო შესრულებამდე. შესაბამისი გამყიდველის მიერ მითითებულ ვადაში, "მყიდველის" მიერ დარღვევის გამოუსწორებლობის (განმეორების) და პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაბამის გამყიდველს ან "გამყიდველებს" უფლება აქვთ ცალმხრივად მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება. ამასთან ხელშეკრულება მოშლილად ითვლება, როგორც "კომპანიის" ისე "საწარმოების" "წილების" მიმართ. გამყიდველებს უფლება აქვსთ მოსთხოვოს "მყიდველს" შესაბამისი კომპენსაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის.

6.4 "მყიდველის" მიერ ერთ-ერთი "გამყიდველის" მიმართ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების (ვალდებულების) შეუსრულებლობის შემთხვევაში "გამყიდველებს" (გამყიდველ 1 ან/და გამყიდველ 2) უფლება აქვთ მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება.

6.5 გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მხარეები თანხმდებიან, რომ 6.2 და 6.3 პუნქტების მიხედვით ხელშეკრულების მოშლა დაუშვებელია "მყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უმნიშვნელო დარღვევის შემთხვევაში. ამასთან, მხარეთა შორის დარღვევის ხასიათზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის უმნიშვნელო დარღვევად მიიჩნევა ვალდებულების იმგვარი დარღვევა, რომელსაც მხარეთა შეთანხმებით დანიშნული, წყლის ინდუსტრიაში სათანადო გამოცდილების მქონე საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ექსპერტი, გონივრული მოქმედების ფარგლებში მიიჩნევს უმნიშვნელო დარღვევად. მხარეთა მიერ ექსპერტის თაობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ექსპერტი ნებისმიერი მხარის მოთხოვნით დაინიშნება "ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA)" მოქმედი თავმჯდომარის მიერ. ამასთან, „მყიდველი" აანაზღაურებს ექსპერტის ხარჯებს.

6.6 „მყიდველის" მიერ თბილისისა და მცხეთის წყლით მომარაგებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ელეტროენერგიის მიწოდების შეფერხების ან შეზღუდვის გამო, რაც არ არის გამოწვეული „მყიდველის" მიზეზით და რაც უშუალო გავლენას ახდენს წყლით მომარაგების ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე არ ჩაითვლება „მყიდველის" მიერ წყლით მომარაგების ვალდებულების დარღვევად.

6.7 "მყიდველის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (ვალდებულებების) "კომპანიის" ან "საწარმოების" მიმართ შეუსრულებლობის საფუძველზე ან სხვა საფუძველით ხელშეკრულების მოშლა გულისხმობს, როგორც "კომპანიის" ისე "საწარმოების" წილების მიმართაც ხელშეკრულების მოშლას, ასეთ შემთხვევაში "გამყიდველებს" უბრუნდებათ გადაცემული წილი და ყველა ქონება, ხოლო მოშლის სხვა შედეგები დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.8 ამ მუხლის 6.2, 6.3, 6.4 პუნქტების მიხედვით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში "კომპანიაში" და "საწარმოებში' "მყიდველის" წილი და ყველა ქონება უბრუნდებათ "გამყიდველებს", ხოლო მოშლის სხვა შედეგები დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.9 თუ "მყიდველი" გარდა 6.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა ვერ შეძლებს საკუთრების უფლების მიღებას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით "კომპანიის" ან "საწარმოების" "წილზე" მთავრობის, "გამყიდველი 1-ის" ან "გამყიდველი 2-ის" მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების მნიშვნელოვანი დარღვევის გამო, "მყიდველს" შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მას უკან დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი "ანაზღაურება" და აუნაზღაურდება მის მიერ "კომპანიაში' ან/და 'საწარმოებში' ან მათ აქტივებში განხორციელებული ინვესტიცია.

6.10 წინამდებარე ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება თუ "მყიდველის" მიმართ დაიწყო გაკოტრების ან ლიკვიდაციის პროცედურა. ასეთ შემთხვევაში "გამყიდველებს" უბრუნდებათ გადაცემული ქონება, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საკითხები დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.11 "კომპანიის" და/ან "საწარმოების" "წილების" გასხვისების შემთხვევაში "მყიდველი" ვალდებულია "კომპანიის" და/ან "საწარმოების" წილები მესამე პირებზე გაასხვისოს ან ნებისმიერი სხვა ფორმით განკარგოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით. "კომპანიის" ან "საწარმოების" წილის გასხვისებისათვის ან/და უფლებრივად დატვირთვისათვის საჭიროა გამყიდველების წინასწარი წერილობითი თანხმობა. "კომპანიის" და "საწარმოების" წილების გასხვისება ან/და უფლებრივად დატვირთვა წინამდებარე პუნქტის მოთხოვნის დარღვევით ბათილია.

6.12 "მყიდველს" უფლება არა აქვს შესაბამის "გამყიდველთან" შეთანხმების გარეშე გაასხვისოს ან სხვაგვარად დატვირთოს "კომპანიის" ან/და "საწარმოების" ის ქონება, რომელიც გამოიყენება "კომპანიის" ან/და "საწარმოების" მიერ ძირითადი საქმიანობისათვის და რომელიც საჭიროა "მყიდველის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის. "მყიდველს" ასევე არა აქვს უფლება "გამყიდველების" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს "კომპანიის" ან "საწარმოების" რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. ამასთან, "გამყიდველებს" არა აქვთ უფლება დაუსაბუთებელი უარი უთხრან "მყიდველს" ამგვარი თანხმობის გაცემაზე.

6.13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო გამყიდველებს უფლება აქვთ მოახდინონ საბანკო გარანტიის რეალიზაცია სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტების სასარგებლოდ. ამასთან, საბანკო გარანტიის ჩამოჭრა არ შეზღუდავს "გამყიდველების" უფლებას გადაახდევინონ "მყიდველს" პირგასამტეხლო და კომპენსაცია წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად და მოსთხოვონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; ხოლო "მყიდველი" საბანკო გარანტიის ჩამოჭრის შემთხვევაში არ თავისუფლდება პირგასამტეხლოს, კომპენსაციის გადახდისაგან და ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

7. განცხადებები და გარანტიები

7.1 მხარეები აღიარებენ და ადასტურებენ, რომ ისინი აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მასში მოცემულ თითოეულ განცხადებაზე და გარანტიაზე დაყრდნობით. მხარეები შესაბამისად წარმოადგენენ და ერთობლიეად და ინდივიდუალურად იძლევიან გარანტიას მეორე მხარის წინაშე, რომ თითოეული განცხადება და გარანტია არის ნამდვილი, უტყუარი, არ არის შეცდომაში შემყვანი წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის და შემდგომაც.

7.2 თითოეული მხარე თანახმაა და ვალდებულებას იღებს, რომ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც შესაბამისი მხარისთვის ცნობილი გახდება, წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს ნებისმიერი ისეთი ფაქტის შესახებ, რომელიც არის ან შესაძლოა ჩაითვალოს ნებისმიერი ასეთი განცხადების ან გარანტიის დარღვევად.

7.3 თითოეული განცხადება და გარანტია განიმარტება, როგორც ცალკეული და დამოუკიდებელი (გარდა ისეთი შემთხვევებისა, სადაც საპირისპირო აზრია გამოთქმული). ამგვარი განცხადება

და გარანტია არ უნდა შეიზღუდოს ნებისმიერ სხვა გარანტიის პირობებზე მითითებით ან წინამდებარე ხელშეკრულების სხვა რომელიმე პირობით.

7.4 იმ შემთხვევაში, თუ განცხადების ან გარანტიის ნებისმიერ დარღვევასთან დაკავშირებით "გამყიდველების" (ან რომელიმე მათგანის) მიერ "მყიდველისათვის" და პირიქით გადასახდელი ნებისმიერი თანხა ექვემდებარება გადასახადით დაბეგვრას, ამგვარი თანხა უნდა გაიზარდოს იმ ოდენობით, რომ ამგვარი დაბეგვრის შედეგად გამოქვითვის შემდეგ "მყიდველის"/"გამყიდველების" მიერ მიღებული დაუბეგრავი თანხა უტოლდებოდეს "მყიდველისათვის"/"გამყიდველებისათვის" სრულად გადასახდელ ოდენობას წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

7.5 მთავრობა და "გამყიდველები" ერთობლივად და ცალ-ცალკე "მყიდველის" სასარგებლოდ აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:

(ა) თითოეულ "გამყიდველს" აქვს ყველა უფლება-მოსილება წინამდებარე ხელშეკრულების და ნებისმიერი სხვა დოკუმენტის გასაფორმებლად, რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებით ნებისმიერი სხვა გარიგების ხელმოწერის, გაფორმებისა და შესრულების თაობაზე

(ბ) "კომპანია" და "საწარმოები" შესაბამისად წარმოადგენენ იმ აქტივების კანონიერ მესაკუთრეს, რომლებიც სათანადოდ არის რეგისტრირებული. აღნიშნული აქტივები არ არის უფლებრივად დატვირთული, გარდა იმ დატვირთვისა, რომელიც მითითებულია საჯარო რეესტრის ამონაწერში.

(გ) რამდენადაც გამყიდველებისათვის არის ცნობილი "კომპანიას" და "საწარმოებს" გააჩნიათ უფლება იმ "აქტივების" საკუთრების უფლებით კანონიერად გაფორმებისათვის, რომლებიც მოწოდებულია "კომპანიის" ან "საწარმოების" მიერ და წარმოდგენილია როგორც წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №3.

(დ) "მყიდველისათვის" ცნობილია, რომ დანართ №3-ში მოცემული "აქტივები" შეადგენენ იმ ქონებას, რაც აუცილებელია "კომპანიის" და "საწარმოების" მიერ დღეისათვის თავიანთი საქმიანობის გასაგრძელებლად და მომსახურების მისაწოდებლად;

(ე) გაყიდვა გამოცხადდა და ჩატარდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

(ზ) თითოეული "გამყიდველისთვის" წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ჭმედით და სავალდებულოდ შესასრულებელ ვალდებულებას, რომელიც აღსრულებადია ამავე ხელშეკრულების პირობების მიხედვით, და არც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება და არც ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა პირობის ბოლომდე შესრულება არ გამოიწვევს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას;

(თ) არ გამოცემულა რაიმე სახის ბრძანება თუ დადგენილება "კომპანიის" და "საწარმოების" წინააღმდეგ ვალაუვალობის, გაკოტრების, ლიკვიდაციის წარმოების დაწყების თაობაზე ან დროებითი ლიკვიდატორის დანიშნის თაობაზე და არ წარდგენილა რაიმე სახის შუამდგომლობა და არ მოწვეულა რაიმე სახის კრება თუ შეხვედრა "კომპანიის" საქმიანობის შეწყვეტის მიზნით;

(ი) "კომპანიის' საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფოს მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიების საფუძველზე და არ არსებობს ლიცენზიასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ან რომელიმე სასამართლოს ან ცენტრალური თუ ადგილობრივი სამთავრობო ორგანოს ბრძანება, ბრძანებულება, განჩინება, საბოლოო გადაწყვეტილება თუ დასკვნა, რომელიც ექვემდებარება შესრულებას, გარდა იმისა რაც გამჟღავნებული იქნა "მყიდველისთვის", რომელიმე "გამყიდველის" ან "კომპანიის" წინააღმდეგ, რომელმაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს "მყიდველზე", როგორც "კომპანიის" ოპერატორზე და, იმდენად, რამდენადაც ეს თითოეული "გამყიდველისთვის" არის ცნობილი, არ არსებობს რაიმე ფაქტი ან გარემოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამგვარი მოვლენის დადგომა; ამ პუნქტით

გათვალისწინებული გარანტიის უსწორობის შემთხვევაში მთავრობა და "გამყიდველები" თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმარებიან "კომპანიას" შესაბამისი ლიცენზიის მოპოვებაში.

(კ) ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის კომპანიამ და საწარმოებმა ყველა არსებით საკითხში შეასრულეს ყველა კანონი და კანონქვემდებარე აქტი, რაც დაკავშირებულია გადასახადთან და სათანადო წესით გადაიხადეს გადასახადის მოლიანი თანხა და ნებისმიერი საჯარიმო თანხა, რაც ექვემდებარებოდა გადახდას, გარდა 2008 წლის 14 მაისის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების მიხედვით დამატებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულებისა და კომპანიამ და საწარმოებმა სათანადო წესით და დროულად წარადგინეს ყველა სახის აუცილებელი დეკლარაცია და სხვა ანგარიში, მოთხოვნა და მითითება (და ისინი მიღებულია საგადასახადო ორგანო(ებ)ის მიერ, როგორც სათანადო წესით შედგენილი), და ნებისმიერ საგადასახადო ორგანოს სათანადო წესით წარუდგინეს ყველა აუცილებელი ინფორმაცია და საგადასახადო ორგანოსთან არ არსებობს მოუგვარებელი დავა ან უთანხმოება საგადასახადო დავალიანების (მათ შორის, ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების) შესაძლო არსებობასთან დაკავშირებით ან რაიმე საგადასახადო შელავათის არსებობასთან ან გადასახადისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით; ასეთის გამოვლენის შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელდება შესაბამისი გამყიდველის მიერ და ამასთან აღნიშნული მოვლენის გამოვლენა არ ითვლება გამყიდველების და მთავრობის მიერ გაკეთებული გარანტიის დარღვევად. აღნიშნული გარანტია არ ეხება, საურავს, რომელიც შეიძლება დაერიცხოს დამატებით დარიცული საგადასახაო დავალიანებას და რომლის გადახდაც უზურნველყოფილი უნდა იქნეს მყიდველის მიერ.

(ლ) "გამყიდველი 1" და "გამყიდველი 2" წარმოადგენენ შესაბამისად "საწარმოების" და "კომპანიის" "წილების" ერთპიროვნულ დარეგისტრირებულ მესაკუთრეებს და ეს "წილები' წარმოადგენს შესაბამისად "კომპანიის" და "საწარმოების" 100%-იან "წილს";

(მ) "წილზე" ან "წილთან" დაკავშირებით არ არსებობს რაიმე ოფცია, შესყიდვის უფლება, იპოთეკა, გირავნობის უფლება, საგადასახადო გირავნობა ან უზრუნველყოფისა თუ უფლებრივი დატვირთვის სხვა ნებისმიერი ფორმა, ან რაიმე მოთხოვნა (გარდა იმ დატვირთვისა, რომელიც წარმოიშვა წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით), და არ არსებობს რაიმე სახის შეთანხმება ან ვალდებულება რომელიმე ზემოაღნიშნული უფლების მინიჭების ან წარმოქმნის თაობაზე და არც რომელიმე პირს წარმოუდგენია რაიმე სახის მოთხოვნა რომელიმე ზემოაღნიშნული უფლების მიღების ან გამოყენების შესახებ;

(ნ) არ არსებობს რაიმე 'შესასრულებელი 'შეთანხმება ან ვალდებულება, რაც ითვალისწინებს "კომპანიის" ან "საწარმოების" "წილების" ან საკალო ან ფასიანი ქაღალდების განაწილებას, გამოცემას ან გასხვისებას;

(ო) წინამდებარე ხელშეკრულებაზე დართული "საწარმოების" ბალანსები: შპს "რუსთავწყალკანალის" 2007 წლის 31 დეკემბრისთვის, შპს "მცხეთაწყალკანალის" და შპს "საქწყალკანალის" 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ძირითადი აქტივების ნამონათვალი მოწოდებულია "გამყდიველი 1-ის" მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი "საწარმოების" მიერ.

(პ) "მყიდველის" მიერ "წილის" შეძენა ან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება:

(I) არ გამოიწვევს "კომპანიის" და "საწარმოების" ახლანდელი თუ მომავალი დავალიანების დაფარვის ვალდებულების წარმოშობას ამგვარი დავალიანების დაფარვის უკვე დადგენილი ვადის დადგომამდე;

(II) არ გამოიწვევს უპირატესი შესყიდვის უფლების წარმოშობას წილზე;

(III) იმდენად რამდენადაც "გამყიდველებისათვის" არის ცნობილი, არ გამოიწვევს რაიმე ხელშეკრულების, შეთანხმების ან დოკუმენტის (მათ შორის, და არა მხოლოდ, "კომპანიის" ან "საწარმოს" ნებისმიერი კონტრაქტის) დარღვევას ან გაუქმებას მათი

პირობებისა თუ დებულებების მიხედვით. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით "გამყიდველები" თავისუფლდებიან ყოველგვარი ვალდებულებებისაგან და პასუხისმგებლობისაგან მესამე მხარეების მიერ რაიმე ხელშეკრულების, შეთანხმების ან დოკუმენტის დარღვევის ან გაუქმების შემთხვევაში ამგვარი ხელშეკრულების შეთანხმების პირობების დარღვევით.

(ე) გარდა იმისა, რაც გამოცხადებულია "მყიდველისთვის", და გარდა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, გადასახადის და/ან დღგ-ს გადახდისა და/ან "გამყიდველების" და/ან სხვა მესამე მხარეების ხარჯებისა და დანახარჯების (მათ შორის, პერსონალისთვის ხელფასის) გადახდისა, 2007 წლის 31 ოქტომბრის შემდეგ "კომპანიას" არ გადაუხდია რაიმე სხვა თანხა "გამყიდველებისთვის" და/ან სხვა მესამე მხარეებისთვის გარდა 5 მილიონი ლარისა და არ მომხდარა მომსახურების გასაწევად ძირითადი ჭონების გასხვისება "კომპანიის" ძირითადი საქმიანობის წარმოებისათვის;

(რ) რომელიმე საგადასახადო ორგანოდან "კომპანიისთვის" ან "საწარმოებისათვის" დასაბრუნებელი გადასახადი სრულად იქნება გადახდილი ან ჩათვლილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

(ს) გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით მთავრობა, "გამყიდველი 1" და "გამყიდველი 2" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარანტიებს, განცხადებებს და ვალდებულებებს კისრულობენ მხოლოდ თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისად ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც "მყიდველის" მიერ შეიძლება წაყენებული იქნეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიმართული უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომლის კომპეტენციაშიც შედის აღნიშნული.

7.6 "მყიდველი" მთავრობისა და "გამყიდველების" სასარგებლოდ აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

ა) "მყიდველს" აქვს ყველა აუცილებელი უფლებამოსილება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოსაწერად, გასაფორმებლად და შესასრულებლად და იმ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის გასაფორმებლად, რომელიც გასაფორმებელია "მყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით ან მასთან დაკავშირებით, და "მყიდველმა" განახორციელა ყველა ქმედება და მიიღო ყველა გადაწყვეტილება, რაც კანონიერად აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებისა და ამავე ხელშეკრულების მიხედვით ან მასთან დაკავშირებით ნებისმიერი სხვა გარიგების ხელმოწერის, გაფორმებისა და შესრულების თაობაზე ნებართვის გასაცემად;

ბ) "მყიდველისთვის" წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ქმედით და სავალდებულოდ შესასრულებელ ვალდებულებას, რომელიც აღსრულებადია ამავე ხელშეკრულების პირობების მიხედვით, და არც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება და არც ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა გარიგების ბოლომდე შესრულება არ გამოიწვევს მოქმედი კანონმდებლობის ან მესამე მხარეთა უფლებების დარღვევას;

(გ) არ გამოცემულა რაიმე სახის ბრძანება თუ დადგენილება "მყიდველის" წინააღმდეგ ვალაუვალობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის წარმოების დაწყების თაობაზე ან "მყიდველთან" დაკავშირებით დროებითი ლიკვიდატორის დანიშვნის თაობაზე, და არ წარდგენილა რაიმე სახის შუამდგომლობა და არ მოწვეულა რაიმე სახის კრება თუ შეხვედრა "მყიდველის" საქმიანობის შეწყვეტის მიზნით (ან სხვა ნებისმიერ იურისდიქციაში მსგავსი მიზნით);

დ) "მყიდველი" აცნობიერებს და აღიარებს, რომ "საწარმოების" და "კომპანიის" წილების გასხვისების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესება გარემოზე ზიანის მიუყენებლად.

ე) "მყიდველის" რეორგანიზაციის შედეგად "კომპანიის" და "საწარმოების" წილები დარჩება იმ პირის საკუთრებაში, რომელზეც სრულად გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებით "მყიდველის" მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

8. ზიანის ანაზღაურება

8.1 მთავრობა და "გამყიდველები" შესაბამისად ვალდებულებას იღებენ აუნაზღაურონ "მყიდველს" და დაიცვან იგი "გამყიდველების" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი და ყველა ზიანისაგან,

8.2 "მყიდველი" ვალდებულებას იღებს აუნაზღაუროს მთავრობას და "გამყიდველებს" და უზრუნველყოს მათი დაცვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი და ყველა ზიანისაგან.

8.3 „ზიანი" გულისხმობს ყველა დანაკარგს, დავალიანებას, ზარალს, კომპენსაციას, მოთხოვნას, ვალდებულებას, გადასახადს, ხარჯს (მათ შორის მართლზომიერ იურიდიულ გადასახადსა და ხარჯს, საარბიტრაჟო, აგრეთვე სასამართლო ხარჯს), ჯარიმას, პირგასამტეხლოსა და დანახარჯს, რაც წარმოიშობა გარანტიის დარღვევის შედეგად, ან რომელიმე მხარის მიერ პირობების არშესრულების გამო ან რომელიმე მხარის მიერ არასწორი, არასრული ან შეცდომაში შემყვანი წინამდებარე ხელშეკრულებაში გაკეთებული განცხადების შედეგად

9. წყლის დანაკარგები

9.1 მთავრობა და "გამყიდველები" თანხმდებიან, რომ საგადასახადო ვალდებულებების დასადგენად წყლის დანაკარგების დაანგარიშება მოხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. მთავრობისა და გამყიდველების ვალდებულებები

10.1. მთავრობა და "გამყიდველები" უზრუნველყოფენ, რომ:

(ა) "მყიდველს" მოთხოვნისამებრ მიეწოდება ინფორმაცია იმ ლიცენზიების და/ან ნებართვების შინაარსისა და სახეების შესახებ, რომლებიც მოითხოვება "მყიდველის" და/ან "კომპანიის" მიერ "მომსახურების" მიწოდების მიზნით და იმ ლიცენზიების და/ან ნებართვების მიღების შესახებ, რაც აუცილებელია ამგვარი მიზნებისთვის საკუთრების უფლების მიღებამდე;

(ბ) "კომპანია" არ არის ვალდებული და არც "მყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების შედეგად იქნება ვალდებული მთლიანად ან ნაწილობრივ დააბრუნოს კაპიტალური სუბსიდიები

10.2 მთავრობა და "გამყიდველები" ვალდებულებას იღებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ "მყიდველი" ნებისმიერი იმ აქტივების იდენტიფიცირებას მოახდენს, რომლებიც გამოიყენებოდა "კომპანიის" ან "საწარმოების" მიერ ძირითადი საქმიანობის განხორციელების დროს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტში და რომელიც კვლავ საჭიროა "კომპანიის" ან "საწარმოების" მიერ ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც არ ფლობენ სარგებლობის ხელშეკრულების საფუძველზე და არ არის მითითებული №3 დანართში („დამატებითი აქტივები") და შეატყობინებს "გამყიდველებს" აღნიშნულის შესახებ მათთვის ამგვარი აქტივების ჩამონათვალის და მათი ინდენტიფიკაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის

წარდგენით, მაშინ მთავრობა და "გამყიდველები", თუ შეტყობინება სათანადოდ დასაბუთებულია და იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივები არის სახელმწიფოს და არა რომელიმე კერძო პირის საკუთრებაში, უზრუნველყოფენ მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი შუამდგომლობების აღძვრას "დამატებით აქტივებზე" საკუთრების უფლების გადაცემისათვის და დაეხმარებიან "კომპანიას" და/ან "საწარმოებს" "დამატებითი აქტივების" "კომპანიის" ან "საწარმოების" საკუთრებაში გადაცემის განხორციელებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3. 10.2 პუნქტის შესაბამისად და მისი გათვალისწინებით, "გამყიდველები" ვალდებულებას იღებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება "დამატებითი აქტივების" იდენტიფიცირება, მაშინ "გამყიდველები" იმ პირობით, რომ შეტყობინება სათანადოდ დასაბუთებულია და ამგვარი აქტივები არის სახელმწიფოს და არა რომელიმე კერძო პირის საკუთრებაში, უზრუნველყოფენ მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრას, რათა აღნიშნული "დამატებითი აქტივები" სიმბოლურ ფასად გადაეცეს "კომპანიას" მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, თუ ამგვარი გადაცემა არ ეწინააღმდეგება იმ დროს მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მთავრობისა და "გამყიდველების" სხვა ვალდებულებებთან ერთად, ხელშეკრულების გაფორმებიდან ნებისმიერ დროს მთავრობა და "გამყიდველები", მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მთავრობის და "გამყიდველების" კომპეტენციის ფარგლებში:

10.4.1 კეთილი ნების საფუძველზე თავიანთი შეხედულებისამებრ უზრუნველყოფენ "მყიდველს" მათ ხელთ არსებული, ან "გამყიდველების" კონტროლირებული ორგანოების ხელთ არსებული ყველა მონაცემითა და ინფორმაციით, რაც აუცილებელია "კომპანიის" და "საწარმოების" მართვის, მუშაობის, განვითარებისა და დაფინანსების მიზნებისათვის და შეატყობინებენ "მყიდველს" მათი მოთხოვნის შესაბამისად აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე ცვლილებების ან დამატებების განხორციელების შემთხვევაში;

10.4.2 აღმოუჩენენ "კომპანიას" ან "საწარმოებს" სათანადო დახმარებას "კომპანიის" ან "საწარმოების" მიერ ყველა იმ აუცილებელი თანხმობისა და ლიცენზიის მოპოვებისა და განახლებისას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ "კომპანიამ" და "საწარმოებმა" წარმართონ მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული საქმიანობა, იმის გათვალისწინებით, რომ "მყიდველის", "კომპანიის" და "საწარმოების" მიერ დაცული იქნება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი თანხმობებისა და ლიცენზიების მოპოვებისა და გაცემის მოთხოვნები;

10.4.3 ზოგადად ითანამშრომლებენ "მყიდველთან" იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ "კომპანიას" და/ან "საწარმოებს" უფლება ექნებათ შეიძინოს ახალი მიწის ნაკვეთები "გამყიდველებისაგან" ქსელის განვითარებისათვის;

10.4.4 უზრუნველყოფენ "მყიდველს" ყველა საჭირო დახმარებით "მყიდველის" მიერ სახელმწიფო (მათ შორის მარეგულირებელ) ორგანოებთან საქმის წარმოების დროს იმ ჩარჩოებში, რაც აუცილებელია "კომპანიის" ან "საწარმოების" საქმიანობის განხორციელებისათვის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული "მყიდველის" ვალდებულებების შესრულებისათვის;

10.4.5 უზრუნველყოფენ, რომ თუ მიწა/საკუთრება (იმ პირობით რომ იგი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას), სადაც ან რომლის ქვეშაც აქტივებია განლაგებული, და რომელიც არ ითვლება აქტივების ნაწილად, "კომპანიისთვის" დროულად და თავისუფლად

ხელმისაწვდომი იყოს (კომპანიისთვის სრულიად უფასოდ) მათი, შეცვლის, შეკეთების და/ან გადაადგილების მიზნით და/ან ზოგადად მომსახურებების გაწევისათვის, იმ პირობით, რომ "მყიდველი" ვალდებულებას იღებს "გამყიდველების" წინაშე, რომ გამოიყენებს ყველა ძალისხმევას, რათა შესაბამისი მიწის/საკუთრების მფლობელისათვის ზიანი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. ზიანის მიყენების შემთხვევაში ზიანი ანაზღაურებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4.6 "გამყიდველები" უზრუნველყოფენ, რომ "მყიდველი" ნებისმიერ დროს გამოიყენებს იმ რეჟიმს, რაც თანაბრად სასარგებლოა საქართველოს მოქალაქეების ან კომპანიებისთვის (სახელმწიფოს მიერ კუთვნილი ან სხვა), ან ნებისმიერი მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან კომპანიებისთვის (რაშიც, ეჭვის თავიდან ასაცილებლად, იგულისხმება მარეგულირებელი პრინციპებისა და საფუძვლების გამოყენება) გარდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის № 245 განკარგულებით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა.

10.5 მთავრობა იღებს ვალდებულებას და აკეთებს დათქმას "მყიდველის" წინაშე, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №8-ით განსაზღვრული აქტივები შეიძლება გადაეცეს ნებისმიერ მესამე პირს მხოლოდ იმ ვალდებულებით, რომ 2017 წლის 29 ივნისამდე ამგვარი მესამე პირი "კომპანიას" არ დააკისრებს (გადაახდევინებს) დანართი №8-ით განსაზღვრული აქტივების მეშვეობით ელეტროენერგიის გატარებისათვის რაიმე საფასურს / ტარიფს.

11. "მყიდველის" მიმდინარე ვალდებულებები

11.1 საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდები

მას შემდეგ, რაც "მყიდველი" წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად საკუთარ თავზე აიღებს "კომპანიის" და "საწარმოების" მართვას "მყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს, რომ "კომპანია" და "საწარმოები" შეძლებენ აქტივების (ან ნებისმიერი მისი ნაწილის ან მისი შემცვლელის) მართვას და შენარჩუნებას **„საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების"** პირობების შესაბამისად.

"მყიდველს" შეუძლია "კომპანიისა" და "საწარმოების" მიერ მომსახურების გაწევის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნებისათვის თავისი შეხედულებისამებრ დაიქირავოს სათანადო გამოცდილების მქონე მესამე მხარე როგორც "კომპანიის" ოპერატორი.

11.2 მომსახურებების გაწევა

მას შემდეგ, რაც მყიდველი წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად საკუთარ თავზე აიღებს "კომპანიის" და "საწარმოების" მართვას მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს რომ "კომპანია" და "საწარმოები":

ა) დაგეგმავენ, მოაწყობენ და განახორციელებენ აქტივების მართვას და შენარჩუნებენ იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ეფექტური მომსახურების გაწევა;

ბ) დაიცავენ მოქმედ კანონმდებლობას (მათ შორის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში), განსაკუთრებით საფრთხის შემცველ ადგილმდებარეობებთან ურთიერთობისა და საშიშ ნივთიერებაზე ხელით შეხების დროს, მათ შორის იგულისხმება დაქლორვის დანადგარების, მაღალი ძაბვის, ამწე მოწყობილობებისა და შეკუმშული აირის ბალონების და ინსტრუმენტების კომპლექტის ადგილმდებარეობა, აგრეთვე საშიში ქიმიკატების შენახვის მეთოდები, და უნდა უზრუნველყოს ადგილი უსაფრთხო და პირველადი დახმარების

მოწყობილობებით „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების" პირობების შესაბამისად;

(გ) შეძლებენ წყალმომარაგების სისტემის სათანადო ექსპლუატაციას, შენახვას, მომსახურებასა და შეცვლას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

11.3 თანამშრომლობა და კოორდინაცია

მას შემდეგ, რაც "მყიდველი" წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად საკუთარ თავზე აიღებს "კომპანიის" და "საწარმოების" მართვას, მყიდველი ვალდებულია გამოიყენოს ყველა ძალისხმევა, რათა "კომპანიის" და "საწარმოების" საქმიანობა შეათანხმოს "გამყიდველებთან" (ან გამყიდველების კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ მესამე მხარეს(ებ)თან) და ნებისმიერ მის კონტრაქტორთან, მოსამსახურესთან და აგენტთან და რომელიმე კომუნალური მომსახურების პროვაიდერთან:

(ა) უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე;

(ბ) საზოგადოების წევრების შეწუხების ფაქტების მინიმუმამდე დაყვანისათვის; და

(გ) კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

11.4 მუნიციპალური პროექტები

მას შემდეგ, რაც "მყიდველი" წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად საკუთარ თავზე აიღებს "კომპანიის" და "საწარმოების" მართვას, "მყიდველი" ვალდებულია ითანამშრომლოს "გამყიდველებთან" კეთილი განწყობით იმისათვის, რომ "მყიდველმა", სადაც საჭიროა, სამუშაოების შესრულების დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და იმ განვითარების პროექტების განხორციელება, რომელზეც "გამყიდველები" მიუთითებენ და წინასწარ აცნობებენ "მყიდველს" გონივრულ ვადაში.

11.5 კონსტრუქციული მოთხოვნები

ნებისმიერი სამუშაოს შესრულების დროს "მყიდველი" ვალდებულია (ან უნდა უზრუნველყოს, რომ "კომპანია" და "საწარმოები" იყვნენ ვალდებული) პასუხობდეს წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აღნიშნულ დებულებაზე სახიანო გავლენის გარეშე, უნდა უზრუნველყოს, რომ სამუშაოების შესრულება მოხდება „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდები" პირობების შესაბამისად.

11.6 "მყიდველის" ზოგადი ვალდებულებები

წინამდებარე ხელშეკრულების ამ და სხვა მუხლებითა და პუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა გარდა, ხელშეკრულების პირობების თანახმად, "მყიდველი" ზოგადად ვალდებულებას იღებს შემდეგი მომსახურებების გაწევაზე:

11.6.1 თბილისთან მიმართებაში:

(ა) წყლის ხარისხი მუდმივად შეესაბამებოდეს „ჯანმოს" (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი (დანართი №6);

(ბ) გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობით: 2008 წელს – 2,4; 2009 წელს – 2,6; 2010 წელს – 2,95; 2011 წელს – 2,95; 2012 წელს – 2,95; 2013 წელს – 2,95; 2014 წელს – 3,3; 2015 წელს – 3,5; 2016 წელს - 3,7; 2017 წელს – 3,9; 2018 წელს – 4,1 (თანხა მითითებულია ლარებში დღგ-ის ჩათვლით);

(გ) გამრიცხველიანებული მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ კუბურ მეტრზე განისაზღვროს არა უმეტეს შემდეგი ოდენობით: 2008 წელს – 0,1; 2009 წელს – 0,22; 2010 წელს – 0,25; 2011 წელს – 0,25; 2012 წელს – 0,25; 2013 წელს – 0,25; 2014 წელს – 0,28; 2015 წელს – 0,297; 2016 წელს – 0,313; 2017 წელს – 0,33; 2018 წელს – 0,347; (თანხა მითითებულია ლარებში დღგ-ის ჩათვლით);

(დ) ამ პუნქტების (ბ) და (გ) პუნქტებით დადგენილი ტარიფების გადახედვა დასაშვებია ელექტროენერგიის ტარიფის ცვლილების შემთხვევაში, რომელიც გავლენას მოახდენს წყალმომარაგების საექსპლუატაციო დანახარჯებზე ან სახელმწიფოს მიერ წყალადებაზე არსებული მოსაკრებელის ცვლილების შემთხვევაში;

(ე) მოსახლეობის გარდა, ყველა სხვა მომხმარებლისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ კუბურ მეტრზე 2008 წლიდან 2018 წლის ჩათვლით რჩება უცვლელი, კერძოდ 4,40 ლარი (დღგ-ის ჩათვლით);

(ვ) ქალაქი ძველი საზღვრების ფარგლებში (2006 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც ნაჩვენებია წინამდებარე ხელშეკრულების №4 დანართში) 2011 წლიდან და შემდგომში უწყვეტად, 24 საათის განმავლობაში მომარაგდეს წყლით, მაგრამ 2011 წლამდე არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი დანართი №7 შესაბამისად;

(ზ) ქალაქი ახალი საზღვრების (როგორც ნაჩვენებია წინამდებარე ხელშეკრულების №5 დანართში) ფარგლებში 2015 წლიდან და შემდგომში უწყვეტად 24-საათის განმავლობაში მომარაგდეს წყლით, მაგრამ 2015 წლამდე არ იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;

(თ) არა უგვიანეს 2012 წლისათვის ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადმოფხერილ იქნეს კანალიზაციის ჩადინება მდ. მტკვარში;

(ი) კოლექტიური მრიცხველებით კორპუსების გამრიცხველიანება დასრულდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 4 წლისა;

(კ) კოლექტიური მრიცხველებით მრავალბინიანი სახლების გამრიცხველიანება დასრულდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს 7 წლისა;

(ლ) პირველი 5 წლის მანძილზე უზრუნველყოს ყინვალის წყალსაცავიდან წყლის მიწოდება წყალმომარაგების სათავეებზე არა ნაკლებ 30 კუბ.მ. წამში მთელი წლის განმავლობაში;

მ) „ა"„ბ" „გ" „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დებულებები და მომსახურებით უზრუნველყოფის ვალდებულება ვრცელდება, როგორც ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ მომხმარებლებზე, ისე იმ პირებზეც, რომელთაც შპს „თბილისის წყალი" მომსახურებას უწევდა ამ განკარგულების ამოქმედების დროისათვის;

(ნ) "მყიდველს" ეკისრება ვალდებულება თბილისის მეტროპოლიტენის და გარეგანათების სისტემები უზრუნველყოს ელექტროენერგიით, ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის არსებული ელექტროენერგიის ტარიფით ერთი წლის განმავლობაში;

ო) "მყიდველს" ეკისრება პასუხისმგებლობა "კომპანიისა" და "საწარმოების" მიერ წარმოებული ელექტროენერგია მიაწოდოს მესამე პირებზე, მხოლოდ მას შემდეგ რაც სრულად დააკმაყოფილებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებით ნაკისრ ყველა ვალდებულებას. ამასთან, საკუთარი მოხმარებისათვის გამოყენებული "კომპანიის" და "საწარმოების" მიერ წარმოებული ელექტროენერგია არ უნდა იყოს ბაზარზე არსებულ ელექტროენერგიაზე ქვირი.

11.6.2 შპს „საქწყალკანალთან" მიმართებაში

ა) გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წლის ვადაში;

ბ) გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და ახალი საკოლექტორო სისტემა შეიქმნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადაში.

11.6.3 მცხეთასთან მიმართებაში

ა) გაუმრიცხველიანებელი მოსახლეობის (ქალაქი მცხეთა) სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება–გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვროს არაუმეტეს შემდეგი ოდენობით: 2008 წელს - 2,4; 2009 წელს - 2,6; 2010 წელს - 2,95; 2011 წელს - 2,95; 2012 წელს - 2,95; 2013 წელს - 2,95; 2014 წელს - 3,3; 2015 წელს - 3,5; 2016 წელს - 3,7; 2017 წელს - 3,9; 2018 წელს - 4,1 (თანხა მითითებულია ლარებში დღგ-ის ჩათვლით);

ბ) გამრიცხველიანებული მოსახლეობის (ქალაქი მცხეთა) სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება–გაწმენდის მომსახურების ტარიფი ერთ კუბურ მეტრზე განისაზღვროს არაუმეტეს შემდეგი ოდენობით: 2008 წელს - 0,10; 2009 წელს - 0,22; 2010 წელს - 0,25; 2011 წელს - 0,25; 2012 წელს - 0,25; 2013 წელს -0,25; 2014 წელს - 0,28; 2015 წელს - 0,297; 2016 წელს - 0,313; 2017 წელს – 0,33; 2018 წელს - 0,347 (თანხა მითითებულია ლარებში, დღგ-ის ჩათვლით);

გ) 11.6.3. მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით დადგენილი ტარიფების გადახედვა დასაშვებია ელექტროენერგიის ტარიფის ცვლილებების შემთხვევაში რომელიც გავლენას მოახდენს წყალმომარაგების საექსპლუატაციო დანახარჯებზე ან სახელმწიფოს მიერ წყალადებაზე არსებული მოსაკრებელის ცვლილების შემთხვევაში;

დ) მოსახლეობის გარდა, ყველა სხვა მომხმარებლისათვის (ქალაქი მცხეთა) ერთი კუბური მეტრი სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება–გაწმენდის მომსახურების ტარიფი 2008 წლიდან 2018 წლის ჩათვლით რჩება უცვლელი, კერძოდ 4,40 ლარი (დღგ-ის ჩათვლით);

ე) წყლის ხარისხი მუდმივად შეესაბამებოდეს „ჯანმო"-ს (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ იყოს მცხეთაში დღეს არსებულზე უარესი დანართი №6 შესაბამისად;

ვ) მცხეთა 2011 წლიდან და შემდგომში უწყვეტად (24 საათიანი) მომარაგდეს წყლით, მაგრამ 2011 წლამდე არ იყოს მცხეთაში დღეს არსებულზე უარესი დანართი №7 შესაბამისად;

ზ) მცხეთაში მომხმარებელთათვის კოლექტიური მრიცხველების დაყენება დასრულდეს 2015 წლისათვის;

თ) „ა"„ბ" „გ" „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დებულებები და მომსახურებით უზრუნველყოფის ვალდებულება ერცელდება იმ პირებზეც, რომელთაც შპს „მცხეთაწყალკანალი" მომსახურებას უწევდა ამ განკარგულების ამოქმედების დროისათვის;

11.6.4 6 თვეში ერთხელ და "გამყიდველი 1-ის" და "გამყიდველის 2-ის" მოთხოვნისთანავე, "მყიდველი" ვალდებულია მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების თაობაზე ანგარიში წარუდგინოს "გამყიდველ 1-ს" და "გამყიდველს 2-ს".

11.6.5 "მყიდველი" ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულები მიზნით განახორციელოს ინვესტიცია, რომლის საერთო მოცულობა არ უნდა იყოს 220 მილიონ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარზე ნაკლები..

12 ტარიფები, ანგარიშის გამოწერა და საფასურის მოკრება

12.1 გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში სხვაგვარად განმარტებული შემთხვევებისა, ტარიფები იქნება ისეთი, როგორც წარმოდგენილია 11.6 მუხლში;

12.2 მხარეები თანახმანი არიან, რომ დადგენილი ტარიფების გადახედვა დასაშვებია ელექტროენერგიის ტარიფის ცვლილებების შემთხვევაში, რომელიც გავლენას მოახდენს წყალმომარაგების საექსპლუატაციო დანახარჯებზე ან სახელმწიფოს მიერ წყალაღებაზე არსებული მოსაკრებელის ცვლილების შემთხვევაში;

12.3 "კომპანია" და "საწარმოები" სატარიფო განაცხადს წარადგენენ მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

12.4 ტარიფების ოდენობის განსაზღვრა ხდება მარეგულირებელი ორგანოს მიერ დაწესებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მაგრამ "მყიდველს" უფლება არ აქვს მოითხოვოს იმაზე მეტი ტარიფების ოდენობის განსაზღვრა, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 12.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

12.5 მას შემდეგ, რაც "მყიდველი" წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად საკუთარ თავზე აიღებს "კომპანიის" და "საწარმოების" მართვას, "მყიდველი" პასუხისმგებელია (მათ შორის "კომპანიის" და "საწარმოს" მეშვეობით) გამრიცხველიანებაზე, მომხმარებელთა ანგარიშების გამოწერასა და მომსახურების საფასურის ამოღებაზე.

12.6 მხარეები თანახმანი არიან, რომ:

ა) "კომპანიის" ან "საწარმოების" მიერ უკვე მიწოდებული და/ან აღრიცხული ნებისმიერი მრიცხველი (დამონტაჟებული თუ სხვაგვარად) საჭიროებს დამტკიცებას "კომპანიის" და "საწარმოების" გეგმისა და სპეციფიკაციების საფუძველზე. ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული არ გამოიწვევს მომხმარებელთა დამატებით დანახარჯებს;

ბ) მომხამრებელს უფლება აქვს დაიმონტაჟოს ინდივიდუალური მრიცხველი, რომლის მიხედვითაც მოხდება მოხმარებული წყლის საფასურის დაანგარიშება; მომხმარებლების ყველა მრიცხველი უნდა დამონტაჟდეს "კომპანიის" ან "საწარმოების" მიერ განსაზღვრული პირების მიერ, მომხმარებლის დანახარჯი არ უნდა იყოს შესრულებელი მომსახურების საბაზრო ღირებულებაზე მეტი.

12.7 მხარეები აცნობიერებენ, რომ "კომპანია" და "საწარმოები" მათ მიერვე მიღებული წესის შესაბამისად დაარიცხავენ სისტემასთან მიერთების საზღაურს მესამე მხარეებს. მთავრობა

და "გამყიდველები", გარდა საქართველოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი აქტით (აქტებით) განსაზღვრული შემთხვევებისა, არ მიიღებენ რაიმე ისეთი სახის გადაწყვეტილებას და არ განახორციელებენ რაიმე ისეთ ქმედებას, რომელიც გააუქმებს ან ხელს შეუშლის "კომპანიისა" და "საწარმოების" მიერ მიღებული წესის განხორციელებას. ამასთან მარეგულირებლის მიერ შესაბამისი წესის მიღების შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დარეგულირდება ამ უკანასკნელის შესაბამისად

13. ჩაურევლობა

13.1 საქართველოს სახელმწიფოს რომელიმე სამინისტროს ან დაწესებულების მიერ "კომპანიის" ან "საწარმოების" ნაციონალიზაციის მიზნით განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება "მყიდველის" მიერ განიხილება წინამდებარე ხელშეკრულების არსებით დარღვევად და ამის საფუძველზე "კომპანიის" და/ან "საწარმოების" საკუთრების დაკარგვის შედეგად "მყიდველისთვის" მიყენებული ზარალი ექვემდებარება დაუყოვნებლივ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სამართლიანი საბაზრო ღირებულებით საერთაშორისო პრინციპების გათვალისწინებით.

14. განცხადებები

14.1 14.2 პუნქტის გათვალისწინებით, არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას "წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 ორივე მხარე უფლებამოსილია გააკეთოს განცხადება "წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ, თუ ეს მოითხოვება:

14.2.1 სათანადო იურისდიქციის მქონე კანონმდებლობით;

14.2.2 სავაჭრო ბირჟის ან მარეგულირებელი ან სამთავრობო თუ საგადასახადო ორგანოს (მათ შორის, თვითმმართველობის ორგანიზაციის) მიერ ან სათანადო იურისდიქციის რომელიმე მოქმედი კანონმდებლობით ან სასამართლო ბრძანებით, რომელსაც ექვემდებარება ან დაექვემდებარება რომელიმე მხარე მისი ადგილმდებარეობის მიუხედავად და იმის მიუხედავად, აქვს თუ არა ამგვარ მოთხოვნას კანონის ძალა.

15. ფორს მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავიანთი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულებისთვის ან შეუსრულებლობისთვის, თუ ამგვარი დაგვიანებით შესრულება ან შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

15.2 თბილისისა და მცხეთის წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით ფორს მაჟორულ გარემოებად, სხვა ფორს მაჟორული გარემოებების შეზღუდვის გარეშე, ჩაითვლება "კომპანიის" იმ ობიექტებზე ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხება ან შეზღუდვა, რომელიც არ არის გამოწვეული "მყიდველის" / "კომპანიის" მიზეზით და რომელიც უშუალო გავლენას ახდენს წყლით მომარაგების ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე.

15.2 მხარე, რომლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება შეფერხდა დაუძლეველი ძალით, ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ წერილობითი შეტყობინება მიაწოდოს იმ მხარეებს, რომელთა წინაშეც

ამგვარი ვალდებულების შესრულების პასუხისმგებლობა იკისრა პირველმა მხარემ. ამგვარ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს: (I) შესაბამისი ფორს-მაჟორული პირობების და/ან გარემოებების შესახებ სრული დეტალური ინფორმაცია, და (II) ფორს-მაჟორული გარემოების შესაძლო შედეგები, მათ შორის შესაბამისი ვალდებულების შესრულების შეფერხების ხანგრძლივობა.

15.3 იმ შემთხვევაში, თუ მხარემ ვერ მიაწოდა წერილობითი შეტყობინება მე-16.10 პუნქტის შესაბამისად, მას არ ექნება უფლება მიუთითოს ფორს-მაჟორულ გარემოებაზე, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე, თუ წერილობითი შეტყობინების მიუწოდებლობა აგრეთვე გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16. ზოგადი დებულებები

16.1 ხარჯები

თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება სხვაგვარად არ ითვალისწინებს, თითოეული მხარე გაიღებს თავის საკუთარ ხარჯს და მასზე დარიცხულ გადასახადს, რომელიც დაკავშირებულია "წილის" გაყიდვის შესახებ მოლაპარაკებებთან, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულებისა და ყველა მასში მოხსენიებული დოკუმენტის მომზადებასთან, გაფორმებასა და ძალაში შესვლასთან დაკავშირებული ხარჯს გაიღებს "მყიდველი".

16.2 ბიზნეს ინფორმაციის მიწოდება

ხელშეკრულების ხელმოწერიდან ექვსი წლის განმავლობაში და განცხადებებისა და გარანტიების რაიმე შეზღუდვის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ "მყიდველი" არ ფლობს რაიმე ბიზნეს ინფორმაციას და ამგვარი ინფორმაცია წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას ადვილად ხელმისაწვდომია "მყიდველისთვის", მაგრამ იმყოფება მთავრობის ან "გამყიდველების" (ან რომელიმე მათგანის) მფლობელობაში ან კონტროლის ქვეშ ან ხელმისაწვდომია ამ უკანასკნელთათვის (ან რომელიმე მათგანისთვის), "გამყიდველები" ვალდებული არიან უზრუნველყონ ბიზნეს ინფორმაციით (ან შესაბამის შემთხვევაში, ამგვარი ინფორმაციის ასლით) "მყიდველი", მისი აგენტები და/ან მრჩეველები უფასოდ გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესისა.

16.3 შემდგომი გარანტია

"მყიდველის" მოთხოვნის საფუძველზე, "გამყიდველები" განახორციელებენ ყველა ქმედებას და/ან გააფორმებენ ყველა დოკუმენტს "მყიდველისთვის" დამაკმაყოფილებელი ფორმით, რაც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულების სრულად ძალაში შესვლისთვის.

16.4 მთლიანი ხელშეკრულება

16.4.1 ხელშეკრულების წერილობითი პირობები წარმოადგენს ამავე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით მხარეთა შორის არსებულ მთლიან შეთანხმებას, რაც აუქმებს მხარეთა შორის ამავე საკითხთან დაკავშირებით მანამდე არსებულ რაიმე შეთანხმებას.

16.4.2 თითოეული მხარე აღიარებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას ის არ დაყრდნობია ხელშეკრულებაში აშკარად ასახული განცხადებების გარდა სხვა რომელიმე განცხადებას;

16.4.3 მე-16.4.2 პუნქტის დებულებები არ შეამცირებს მხარის პასუხისმგებლობას თაღლითურ არასწორ განცხადებაზე ან ვალდებულების შეგნებულად დარღვევაზე.

16.5 ნაწილობრივი გაუქმება

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლი გაუქმდება ან სათანადო განსჯადობის მქონე სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს გადაწყვეტილებით გამოცხადდება ბათილად, ძალადაკარგულად ან შეუსრულებლად საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ეს უარყოფითად არ იმოქმედებს:

16.5.1 წინამდებარე ხელშეკრულების სხვა რომელიმე დებულების კანონიერებაზე, ქმედითობასა და შესრულებადობაზე;

16.5.2 წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული ან სხვა რომელიმე დებულების სამართლიანობაზე, კანონიერებასა და შესრულებადობაზე.

წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა არ ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც "კომპანიის" "წილის", ან "საწარმოს" "წილის" ნასყიდობის ნაწილი გამოცხადდება უკანონოდ, ძალადაკარგულად ან შეუსრულებლად. ასეთ შემთხვევაში მთლიანი ხელშეკრულება იშლება

16.6 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ხემოწერილია ამავე ხელშეკრულების მხარეთა მიერ ან მათი სახელით.

16.7 უფლების გამოყენებაზე უარის თქმა

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე უფლების ან სამართლებრივი დაცვის საშუალების ვერგამოყენება ან მისი გამოყენების დაგვიანება არ წარმოადგენს მასზე უარის თქმას და რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ამა თუ იმ დებულების დარღვევასთან ან შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ საკუთარი უფლების გამოყენებაზე უარის თქმა არ ნიშნავს ამავე ხელშეკრულების იმავე დებულების შემდგომ დარღვევასთან ან შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ საკუთარი უფლების გამოყენებაზე უარის თქმას. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლებისა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალების ერთჯერადი ან ნაწილობრივი გამოყენება ხელს არ შეუშლის და არ შეზღუდავს უფლებისა თუ სამართლებრივი დაცვის საშუალების შემდგომ გამოყენებას. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალსიწინებული უფლებები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები კრებსითია და არ გამორიცხავს კანონმდებლობით გათვალსიწინებულ უფლებებსა და სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.

16.8 უფლებამემკვიდრეები

წინამდებარე ხელშეკრულება შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთა უფლებამემკვიდრეებისთვის და მოქმედებს მათსავე სასარგებლოდ.

16.9 ეგზემპლარები

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება გაფორმებდეს ერთ ან რამოდენიმე ეგზემპლარად, მაგრამ არ შევა ძალაში თითოეული მხარის მიერ სულ ცოტა ერთი ეგზემპლარის გაფორმებამდე. თითოეული ეგზემპლარი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების ორიგინალს, ამასთან ყველა ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

16.10 შეტყობინებები

16.10.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეტყობინება ან მიმოწერა

(ა) უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით; და

(ბ) უნდა გაიგზავნოს ადრესატის ფოსტის, ან ფაქსის საშუალებით ადრესატის იმ მისამართზე ან ფაქსის ნომერზე, რომელიც მითითებულია მე-16.10.2 პუნქტში.

16.10.2 16.10.1 პუნქტის მიზნებისთვის თითოეული მხარის მისამართი არის შემდეგი:

მყიდველი: შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0105, ერეკლე მეორეს ქუჩა №4/10

ფაქსი: (+995 32) 507-112, (+995 32) 920-108

გამყიდველი 1: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
მისამართი: საქართველო, თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12
ფაქსის ნომერი: (+ 995 32) 932-861

გამყიდველი 2: ქალაქ თბილისის მთავრობა
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, 0160, შარტავას ქუჩა №7
ფაქსის ნომერი: (+995 32) 378-154

16.10.3 შეტყობინება ან სხვა სახის მიმოწერა ძალაში შედის მისი მიღებიდან (ან, თუ უფრო ადრე, იმ დროისთვის, როცა ის მიღებულად ითვლება მე-16.10.4 პუნქტის შესაბამისად) თუ სხვა უფრო გვიანი დრო არ არის მითითებული მასში.

16.10.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების საფუძველზე ან მათთან დაკავშირებით განხორციელებულ შეტყობინებასა ან სხვა სახის მიმოწერაზე უნდა მიეთითოს მე-16.10.2 პუნქტში მითითებული მისამართი და თუ მისამართი აღნიშნული სახით იქნება მიწერილი, სათანადოდ გაგზავნილად და გადაცემულად ჩაითვლება:

(ა) შესაბამისი მხარის მისამართზე მიწოდებისას, პირადად მიწოდების შემთხვევაში;

(ბ) გაგზავნის შემდეგ ორ სამუშაო დღეში, თუ გაიგზავნება პირველი კლასის ფოსტის საშუალებით;

(გ) გაგზავნის შემდეგ ექვს სამუშაო დღეში, თუ გაიგზავნება საჰაერო ფოსტის საშუალებით; და

(დ) წარმატებით მიღების თაობაზე დაბეჭდილი დადასტურების მიღების შემდეგ, თუ გაიგზავნება ფაქსის საშუალებით.

17. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

17.2 ნებისმიერი დავა, რომლის მთლიანი ჯამური ღირებულება არ აღემატება 10 მილიონ აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ

390

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მყიდველის სასარგებლოდ გამყიდველები წინამდებარეთი თანხმობას აცხადებენ იმის თაობაზე, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით გამომდინარე ნებისმიერი დავა, რომლის მთლიანი ჯამური ღირებულება აღემატება 10 მილიონ აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, წარედგინოს "ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA)" ამავე სასამართლოს წესების მიხედვით დავის არბიტრაჟის გზით გადაწყვეტის მიზნით. ამასთან დავის განხილვისას გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

17.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საკითხთან მიმართებით ადგილი ექნება რაიმე წინააღმდეგობას წინამდებარე ხელშეკრულების ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შორის, ქართულ ვერსიას მიენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა ამავე ხელშეკრულების განმარტების თვალსაზრისით.

საქართველოს მთავრობა

ხელმოწერილია ეკატერინე შარაშიძე

გამყიდველი 1"

ხელმოწერილია ეკატერინე შარაშიძე

"გამყიდველი 2"

ხელმოწერილია მამუკა ახვლედიანი

"მყიდველი"

ხელმოწერილია გერმანს სიტრონსი

სანოტარო აქტი

რეგისტრირებულია რეესტრში: 1-4348

ორიათას რვა წლის თოთხმეტ მაისს მე, ციური ბერიძეს, ქ. თბილისის ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№68, პირველ სართულზე, მომმართეს: ეკატერინე შარაშიძემ, მამუკა ახვლედიანმა და "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს დირექტორმა გერმანს სიტრონსმა. ეკატერინე შარაშიძემ განაცხადა, რომ იგი წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს და მოქმედებს საქართველოს მთავრობის სახელით საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე ის წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მამუკა ახვლედიანმა განაცხადა, რომ ის წარმოადგენს თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს), ადმინისტრაციის უფროსს და მომქედებს თბილისის მთავრობის სახელით ქ. თბილისის მერის 2008 წლის 13 მაისის 310 განკარგულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ქ. თბილისის მთავრობას სურს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების: შ.პ.ს "რუსთავწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის, შ.პ.ს "მცხეთაწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის და შ.პ.ს "საქწყალკანალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის და ქ. თბილისის საკუთრებაში არსებული შ.პ.ს "თბილისის წყლის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, ხოლო "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს დირექტორმა გერმანს სიტრონსიმ განაცხადა, რომ იგი არის "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს დირექტორი და მოქმედებს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ის 2008 წლის 14 მაისის დირექტორთა კრების ოქმით (რეესტრში რეგისტრაციის №1-1396, დამოწმებული ნოტარიუს ეკატერინე გვანცელაძის მიერ) მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და სურს ზემოხსენებულ ქონებებზე ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პიროვნებები და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად მომმართა გერმანს სიტრონსმა (დაბადებული 1970 წ. 23 მაისს , ქ. იურმალაში, მცხოვრები ლატვია, იურმალა რიკის ქ. №13-1, პირადობის მოწმობის ნომერი № 0709344, გაცემული ლატვიაში, რიგის საპასპორტო განყოფილების მიერ 2007 წლის 11 სექტემბერს) და ეკატერინე შარაშიძემ (დაბადებული 01.02.1974წ. ქ. თბილისში, პასპორტის **№05BA00277** პირადი № 01017032441, გაცემული 27.11.2006წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ) და მამუკა ახვლედიანმა (დაბადებული 1973წ. 24 ივნისს , ქ. თბილისში, პირადობის მოწმობის ნომერი № ბ 0857621; პირადი №01017007577 გაცემული ქ. თბილისის მთაწმინდის სარ. საპასპორტო სამსახურის მიერ 16.012006.წ.) მომმართეს. მე შევამოწმე ეკატარინე შარაშიძის უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს საქართველოს მთავრობა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, თანახმად საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის № 325 და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2008 წლის 31 იანვრის №14 ბრძანებისა, მე შევამოწმე მამუკა ახვლდიანის უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს თბილისის მთავრობა, თანახმად ქ. თბილისის მერის 2008 წლის 13 მაისის №310 განკარგულებისა.

მე შევამოწმე გერმანს სიტრონსის უფლებაუნარიანობა – იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი". მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე დავადგინე გარიგების შინაარსი და მხარეებს განვუმარტე: ქონების შემძენი საკუთრების უფლებას იძენს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციით, რისთვისაც აუცილებელია შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინოს წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი, "სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" კანონის შესაბამისად გაცემული საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თუ ამ ხელშეკრულებით იფარება სხვა გარიგება, მაშინ დავის შემთხვევაში გამოიყენება დაფარული გარიგების წესები. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ამცირებენ ნასყიდობის ფასს, დავისას მოსარჩელე მხარემ უნდა დაამტკიცოს ფასის შემცირების ფაქტი. ამ განმარტების შემდეგ მე შევადგინე ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წავუკითხე მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სურთ ხელსეკრულების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში; შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების თარგმანი ქართულიდან ინგლისურ ენაზე შესრულებულია თარჯიმანის ქეთევან ელიოზაშვილის მიერ, დაბადებული 1960 წლის 22 თებერვალს, ქ. თბილისში, მცხოვრები თბილისი, ქობულეთის ქ. №29, პასპორტის №0609217, პირადი №01008008802, გაცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2000 წლის 8 ივნისს

გადახდილია სახელმწიფო "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოს შესახებ" კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად 800 ლარი, დღგ 144 ლარი, სულ 944 ლარი.

თანდართული დოკუმენტაცია:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245
2. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323
3. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განაკრგულება
4. ქ. თბილისის მერის 2008 წლის 13 მაისის №310 განკარგულება
5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 14 მაისის №1-1/765 ბრძანება
6. შ.პ.ს "რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შ.პ.ს "მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შ.პ.ს "საქწყალკანალის" 100% წილის და შ.პ.ს "თბილისის წყლის" 100% წილის ამონაწერები სამეწარმეო რეესტრიდან

ნოტარიუსი ციური ბერიძე